

მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო
ქართულში

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში სახელებს და აგრეთვე ზოგ ფორმაუცვლელ სიტყვას გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება დაერთოს ა ხმოვანი, რომელიც მავრცობის როლს ასრულებს.

ა ხმოვანი, როგორც მავრცობი, ძველ სალიტერატურო ქართულშიც იყო გამოყენებული, მაგრამ იქ მისი ხმარების წესი განსხვავებული იყო. უპირველეს ყოვლისა, განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ძველ ქართულში ამ ხმოვნის ხმარებას სისტემური და კანონზომიერი ხასიათი ჰქონდა, სახელდობრ: იგი ერთოდა საზოგადო სახელებს მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელი იყო ან კომპოზიტის პირველი წევრი, ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, ან თანდებუიანი (მოქმ. ბრ.), ან კიდევ — ზმნისართად იყო გამოყენებული წინადადებაში¹.

სახელებში დადასტურებული ეს ა ხმოვანი, რომელსაც სპეციალისტები ემფატიკურ ხმოვანსაც უწოდებენ, საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრით, გენეტურად ჩვენებით ნაცვალსახელს უკავშირდებოდა (ამას, ამის, ამით) და, ამდენად, ა ელემენტით გავრცობილი ბრუნვის ფორმები განსაზღვრულად ითვლებოდა განუსაზღვრელი ფორმებისაგან განსხვავებით².

სხვა მდგომარეობაა ა ხმოვნის ხმარების მხრივ ახალ სალიტერატურო ქართულში; აქ მას განსაზღვრელი ფუნქცია არა აქვს და არც:

¹ ქ. ძოწენიძე, ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში. თსუ შრომები, XXX-XXXI, 1947.

² არნ. ჩიქობავა, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 6, 1942.

სისტემურადაა გამოყენებული. მაგრამ ახალ ქართულში სულ სხვა დანიშნულებისაა.

ა ხმოვანი ახალ ქართულში გაცილებით უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე ეს ძველში იყო შესაძლებელი, სახელდობრ: იგი გვხვდება, ჯერ ერთი, როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებთან, თანაც ისე, რომ არ იცის ის გამონაკლისები, რაც ძველი ქართულისათვის იყო დამახასიათებელი; მეორე, დასახელებული სამი ბრუნვის გარდა, ა ხმოვანი შესაფერ ვითარებაში გამოვლინდება სხვა ბრუნვებთანაც; გარდა ამისა, დასტურდება სახელების გარდა ზოგ ფორმაუცვლელ სიტყვებთანაც და, იშვიათად, თვით ზმნებთანაც კი³.

თანამედროვე სალიტერატურო ენაში ა ხმოვნის ხმარების ორი ძირითადი შემთხვევა შეინიშნება: პირველი, როდესაც ეს ა აუცილებელია, მის გარეშე სიტყვა არ იხმარება და, მეორე, როდესაც მისი ხმარება ასეთი აუცილებლობით არ არის გამოწვეული, მაგრამ მას მაინც თავისი გარკვეული ადგილი აქვს სიტყვასთან წინადადებაში.

პირველი რივის შემთხვევები სალიტერატურო ენაში დავას არ იწვევს; ამიტომ შეიძლება მათი ჩამოთვლით დავკმაყოფილდეთ.

1. უთუოდ გამოვლინდება⁴ ა ხმოვანი თანხმოვანფუძიან სახელებსა და ზოგ ფორმაუცვლელ სიტყვასთანაც ც(ა) ნაწილაკის წინ. მაგალითად: კლდე^{მაც}, ხმამაც, სიტყვასაც, წამალსაც („მაგის წამალსაც მალე მოვიგონებ“. — ილია), კაცისაც, სახლისაც, გულითაც, მუშაობითაც („მუშაობითაც ვეღარ მუშაობდა წინანდებულად“. — ვაჟა), საფლავადაც, წამლადაც, შენთვისაც, ჩემკენაც, სახლიდანაც, მეზობლისგანაც, იმანაც, სადაც, ამიტომაც, თვითონაც („თვითონაც, გულშექნილი, ხტის და თამაშობს“. — აკაკი), კიდევაც, უწინაც, აქაც, იქაც, შინაც და სხვა. გამონაკლისს წარმოადგენს შენც, ჩვენც, თქვენც, ვინც, როგორც და მისთ., თუმცა არალიტერატურული შენაც, ჩვენაც, თქვენაც, ვინაც, როგორაც და სხვ. ფორმებიც მოიპოვება.

2. აუცილებელია ა ხმოვნის ხმარება სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმასთან, როდესაც ამ უკანასკნელს ვით თანდებული ერთვის. მა-

³ მაგალითად, წინადადებაში: „ამ წნის განმავლობაში ბევრი რამ ნახესა და ვანიცადეს“ (გაზ. „სახალხო განათლება“, 1965, № 28); უფრო ხშირია ასეთი მაგალითები სასაუბრო მეტყველებაში, ძირითადად, მრავლობითობის თ-სა და სუბიექტური მესამე პირის ნიშნის ხ-ს შემდეგ.

⁴ სიტყვა „გამოვლინდება“-ს ეხმარობთ ამ შემთხვევაში იმის გამო, რომ ზოგ მაგალითში ეს ა, მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებრივ, დღეს აღარ იხმარება, ისტორიულად გამართლებულია (ძირისეულია ან ბრუნვის ნიშნისეულია) და აქ შესაფერ პირობებში ვლინდება.

⁵ აკ. შანიძე მას „მეერთბელ“ ა-ს უწოდებს: ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 615.

გალითად: ელვასავით, ძმასავით, ქვასავით, კლდესავით, მწესავით („მზესავით ლაპლაპებდა“. — ვაჟა), დღესავით, ხბოსავით, კალიასავით („კალიასავით მოჰფენოდნენ ქალებს“. — აკაკი), მიმინოსავით, ყრუსავით, კუსავით, ბუზსავით („ხალხი ბუზსავით ირეოდა იმის გარშემო“. — ილია), გიუსავით, კაცსავით, გლახასავით და სხვა.

3. ჩვეულებრივ, ა ხმოვნის გარეშე არ იხმარება ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი, როდესაც ის საზღვრულს მოსდევს. ამ შემთხვევაში ა ხმოვანი „ამთავრებს და ხმავს კონსტრუქციას“⁶. ამის მაგალითებია: ძალა სიყვარულისა („შენ მასწავლე ძალა სიყვარულისა“. — ნ. ლორთქ.), ქარავანი ურმებისა, სიაცე ადამიანისა, მზე ზამთრისა, გასაღები სახლისა („იმ ბებერს ხელში ეჭირა გასაღები თავის სახლისა“. — ი. გოგებ.)... გონებამ ოთარაანთ ქვრივისამ, ხმამ დედისამ („ხმამ დედისამ გამოაბრუნა“. — ილია)... ხარჯს საქონლისას, ამბავს დედაკაცისას, თვალს კაცებისას („ქალები თვალს იტაცებენ კაცებისას“. — აკაკი), ტანისამოსს ქართვისას, მუშაობას გიორგისას და ა. შ.

4. მაგრამ ა მუდამ ახლავს სიტყვას, თუ ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ იგულებს ამ ა-ს და, ამასთან, არის შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. მაგალითად: ზურმუხტისაა, დავითისაა, ხისაა, ქვისაა, გულისაა („ვასო კარგი გულისაა“. — ვაჟა), ვერცხლითაა, ხელითაა, კლდითაა, ზღვითაა, კარგადაა, ერთადაა, უსაზღვროდაა, ფერზედაა („კესომ ნახა, რომ გიორგი მართლა არც თავის ფერზედაა, არც თავის გუნებაზედა“. — ილია), ამიტომაა, აქაა, სახლზედაა, შენთვისაა, ჩემგანაა და ა. შ. ამ შემთხვევაში ა-ს ხმარება აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ მეშველზმინისეული ა ხმოვანი სიტყვაზე უშუალოდ დართვისას უთუოდ მაგრამ ა-დ იქნებოდა აღქმული და შედგენილი შემასმენელი ზმნურობას დაკარგავდა (შდრ. ზურმუხტისა და ზურმუხტისაა, კლდითა და კლდითაა, ფერზედა და ფერზედაა, ამიტომა და ამიტომაა, აქა და აქაა და სხვა).

უფრო საინტერესოა ა ხმოვნის ხმარების თვალსაზრისით მეორე რიგის შემთხვევები, როდესაც ა არ წარმოადგენს სიტყვის აუცილებელ ელემენტს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვეულ კონტექსტში მისი გამოყენება კანონზომიერია.

ახალ ქართულში, როგორც უკვე ითქვა, ა ხმოვანი გაცილებით

⁶ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 037.

უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე ეს იყო შესაძლებელი ძველ ქართულ-ში. განვიხილოთ თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკე.

1. ა ხმოვანი როგორც საკუთარ, ისე საზოგადო ხმოვან ფუძიან სახელებსა და ნაცვალსახელებთანაც შესაფერ სიტუაციაში გამოვლინდება მოთხრობით ბრუნვაში. შეიძლება წარმოშობით ეს ა მოთხრობითი ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი იყოს (მაწ—მა), თუმცა, უფრო სავარაუდოა, იგი იმავე რივისა იყოს, როგორცაა სხვა ბრუნვებში ნახმარი ა.

მაგალითები:

ეს არ იცოდა აბეზარმა ვანომა (ი. გოგებ.).

წამოიძახა ნატომა (მის. მრევლ.).

ქორწილისა რა ბძანა ჩემმა სიძემამა? (ილია).

წამოიძახა ვოგომა (ილია).

რაზედაც ძმამა და ქვეყანამ დააყენა (ვაჟა).

სთქვა ვილაცამა (ილია).

რა ვქნა მე უშენომა? (ილია).

და სხვა.

2. ყველაზე ხშირად ა ხმოვანი იხმარება მიცემით ბრუნვასთან. ამიტომ ეს შემთხვევა გამოირჩევა მაგალითთა სიუხვით.

მოჯამაგირემ თავისი ცემა შესჩივლა ომარაშვილსა (ილია).

ჰკითხა მან გოჩსა (ვაჟა).

გადავემტერეთ ყველას... ავსა, კარგსა, შენა და სხვასა (ილია).

ელის ქექასა და გრივალს (ნ. ლორთქ.).

სისხლსა და სიკვდილს აქაც მიეჩვიენ (ს. კლდ.).

ერთი შოთი ერთს მისცა, მეორე — მეორესა (ილია).

მაშინ კი წყალს სოფლელნი ერთმანეთსა ჰპარავდნენ (ილია).

ბევრსა სჰამდა (ვაჟა).

რასა ბძანებთ! (ილია).

თქვენზედ უკეთესს ვისა ვნახავ? (ილია).

თავდაპირველად იმასა სთხოვდა (ვაჟა).

მადლი მაჯასა აქვს (ილია)

და სხვა.

3. ა ხმოვანი ნათესაობით ბრუნვასთან.

შინ დამხვდა ელენესა და ნატოსგან გამოვზენილი ბარათი (ს. კლდ.).

არაფერი არ ვიცოდი სალთმესა და სიმონიკას ურთიერთობაზე (ს. კლდ.).

სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარანთ ქვრივისა (ილია).

მისი ისე ეშინოდათ, როგორც სულთამხუთავისა (აკაკი).

სრული მონაცე იყო მისი პატრონისა (აკაკი).

მტერი იყო ის მოწყენილობისა (ს. კლდ.).

ჩამოცალნენ მეფისა და ქვეყნის ორგულ ლიპარიტს (მ. ჭავჭავ.).

ასწია საფარი ვასალების ხვრელით (ო. ჩხ.).

ის იყო ოცისა თუ ოცდაერთის წლის ყმაწვილი ბიჭი (ილია).

ქალო!.. რისა გეშინიან? (ილია).

ეხლა აღარაფრისა მეშინიან (ილია)

და სხვა.

აგრეთვე ხშირადაა ა ხმოვნით გავრცობილი ნათესაობითი ბრუნვა, როდესაც მას თანდებულები ახლავს და გვაქვს: ძმისათვის, ძმისაკენ, ძმისაგან. მართალია, როგორც არნ. ჩიქობავა მართებულად აღნიშნავს, „ორი ვარიანტიდან — ძმისაგან || ძმისგან — უკეთესი პერსპექტივები აქვს მეორე ვარიანტს (ძმისგან)“⁷, მაგრამ დღესდღეობით ორივე იხმარება ენაში.

მაგალითები:

მეცნიერის კაცისათვის ყველაფერი შესაძლოა (ილია).

მამაჩემს... შეუთვლია ძიძისათვის (აკაკი).

ღუქვანში წავიდა ტყვია-წამლისათვის (ვაჟა).

წამოვიდა დათიკოსაკენ (ილია).

ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ (აკაკი).

მიდის ვართ სკოლისაკენ (ი. გოგებ.).

სიცვიისაგან კბილით კბილსა სცემდა (ილია).

ლელას ცრემლები წამოუვიდა სიცვიისაგან (ვაჟა).

გული ამოუჯდა სიხარულით (ი. გოგებ.).

და სხვა.

4. ა ხმოვანი მოქმედებით ბრუნვასთან.

ესმის, რომ დარჯანი საშინელის ხმითა სტირის (ილია).

ზართთა და ზემით ჭალებისაკენ მიექანება (აკაკი).

ეს დარბაზი სავსე იყო ღარიბი სტუმრებითა (ი. გოგებ.).

იჭერა გული წყაროს წყლითა (ი. გოგებ.).

ტიღუნა ხერხითა მჯობდა, მე ღონითა (ვაჟა).

ის... ქვითა და გორბით ამოვსილიყო (ს. კლდ.).

აივსო თჯახი დოვლათითა და ქონებით (მიხ. შრეელ.).

მითამ მე რითა ვარ ნაკლები ამ დამბალ გოგიაზედ (ილია)

და ა. შ.

5. ა ხმოვანი მიმართულებითი (ვითარებითი) ბრუნვის ფორმასთან.

⁷ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 043.

იმას კი არა შეეღრება-რა, როცა ცა ქუდადა გაქვს და დედამიწა ქალამ-
ნადა (ილია).

იქაც ისე არიანო ბატონი ბატონადა და ყმა ყმადაო, როგორც აქა
(ილია).

მერე... სენატის პროკურორადა და მინისტრის ამხანაგად იყო (აკაკი).

სულ სხვის შვილადა ვარ (ვაჟა).

დაქალიშვილდნენ, კარგა მოვლეს და ისხდნენ ისევ ქალიშვილებადა
(ო. ჩხ.).

ისიც არ ივარგებს ბევრ რამედა (ო. ჩხ.).

ეს რადა ჰღირს (ილია)

და სხვა.

6. ხშირად ახმოვანი შესაფერ პირობებში და-
ერთვის ან აღდგება თანდებულეებთანაც და ასეთ
შემთხვევაში ზოგჯერ ერთ სიტყვაში ორი ანაწილაკიც კი იყრის თავს:
ერთი — თანდებულის წინ, ბრუნვის ნიშნის შემდეგ და მეორე — თან-
დებულის შემდეგ, სიტყვის ბოლოს. მოგვყავს ორივე შემთხვევის მა-
გალითები:

ეს... ისე აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც სმა-ჰამა კაცისა-
თვისა (ილია).

თურმე ამ ბავშვისათვისა სძრახავდნენ უფროსები უმცროს დასა
(ო. ჩხ.).

პირისახე კესოსაკენა ჰქონდა (ილია).

მერე ხომ პირი აღარ უქნია ქალაქისაკენა (ო. ჩხ.).

აპყვებოდა რუს თავამდინა (ილია).

ოღონდ არ დასცალდათ იქამდისა (ო. ჩხ.).

აქ ერთგანა სწერია... (ილია).

იგონებს და იშვებს ჰირთავანა (ო. ჩხ.).

ცრემლები ჩამოსდიოდა თვალეზიდამა (ვაჟა).

სული ძლივძლივობისას... გააპარა თავისი მამულეზიდანა (ო. ჩხ.).

აქეთ სითბო გამოდიოდა ღიად დაყრილ კარეზიდანა (ო. ჩხ.).

დავა არავისთანა ჰქონდათ და დარაბა (ილია).

მივარდა წყაროსთანა (ი. გოგებ.).

რა ცხენივითა სჭიხვინებ (ვაჟა).

შვილსავითა ზრდიდა და ანებივრებდა (აკაკი).

მარტოკა ჩამფალი შავ მიწაშია? (ილია).

აქამდინ აღას ვახლდი კახეთშია (ილია)...

აქვე უნდა დავასახელოთ ზედა თანდებულის ხმარების შემთხვე-
ვებიც. ზედა ჩვეულებრივ მხოლოდ იქ გამოიყენება, სადაც ახმოვ-
ნიანი ფორმებია მოსალოდნელი.

8 აღნიშნული თანდებულის სწორედ შია ფორმას ერთვის აგრეთვე ხშირად ც
ნაწილაკიც: მიწაშიაც, სახლშიაც, კახეთშიაც, გზაშიაც (შდრ. მი-
წაშიც, სახლშიც, კახეთშიც, გზაშიც).

მაგალითები:

თეთრი წვერი გულზე და სცემდა (ვაჟა).

მოვადგება უქერქო აღგილზე და (ი. გოგებ.).

მიწა აზიდა აივანზე და, მესამე სართულის აივანზე და, ...ხეივანი გაჰ-
კიდა თითქმის მიველ სართულზე და (ო. ჩხ.).

და მისთ.

7. ცალკე შეიძლება გამოიყოს ა ხმოვნით გა-
ვრცობილ ნაცვალსახელთა ისეთი ჯგუფები (პირის,
ჩვენებითი, კითხვითი...), რომლებიც ბრუნვის ნიშნით არ
არის გაფორმებული. აღნიშნულ ნაცვალსახელებში შესაფე-
რის პირობებში ზოგან აღდგება ა ხმოვანი, ზოგჯერ კი დაერთვის ეს
ხმოვანი. მაგალითად:

შენა გონია გატყუებ? (ილია).

შენ დაიჭირე? — მაშ არა და შენა! (ი. გოგებ.).

რა ვიცით ჩვენა! (ვაჟა).

განა ჩვენა ვართ დამნაშავენი? (ნ. ლორთქ.).

მარტონი თქვენა ხართ (ილია).

როგორ მოახერხოს ესა? (ი. გოგებ.).

სთქვა ესა... (მიხ. მრევლ.).

უარარობას ეგა სჯობია (ილია).

შე შეჩვენებულო, რა ჰქენი ეგა? (აკაკი).

რაც მეტია ამხანაგი, ისა სჯობსო (აკაკი).

რაც გინდათ ისა ჰქენით (ილია).

სად ვინა ხართ (ვაჟა).

ვინა გკითხავს (აკაკი).

ჩემს მეტი არავინა ჰყავს (ილია).

სხვას ყველაფერს თითონა ჰყიდულობდა (ილია).

შენ თითონა ჰნახე (ილია).

ახლა... თქვენ უნდა ერთი რამა გკითხოთ (ილია)

და სხვა.

8. მავრცობი ა ხშირად იხმარება ფორმაუცვ-
ლელ სიტყვებთანაც, ძირითადად ზმნისართებთან, ზოგჯერ კი
კავშირებსა და ნაწილაკებთანაც.

მაგალითები:

სწორედ მერცხლის ბუდეა აქა (აკაკი).

დედაც იქა ჰყოლიაო (ვაჟა).

წაიყვანა შინა (ი. გოგებ.).

მიველ და წამოვუწექ შინა (ილია).

ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწევავს და ჰბუგავს (ილია).

ის იქვე იყო, დიდ კაკლის ქვეშა (ო. ჩხ.).

მაგრამ შორს არიან, შორსა... (ო. ჩხ.).

ძლივ-ძლივობით გამოასწრო გარეთა (ი. გოგებ.).

თითონაც გაქანდა და შეეარდა შიგა (ი. გოგებ.).

ზე და ჯდება (ი. გოგებ.).

შენი ფიქრი სადა ჰქროდა (ილია).

მთვარეს დაბნელება მოხდება ხოლმე მაშინა, როდესაც ჩვენში დღეა (ი. გოგებ.).

თვითონ დედაჩემი, როგორც წინეთა ვსთქვი, მშრომელი იყო (აკაკი).

ახლა დავიწყოთ, როგორც წელიანა ვთქვით, იქიდან (ილია).

მოღუნვა მოტეხად როდისა თქმულა (ო. ჩხ.).

წელიწადში ერთხელა მღეროდა (ო. ჩხ.).

ლუარსაბმა პირი დააღო ჯერა (ილია).

სხვა რამდენია კიდევ? (ვაჟა).

ჩამოჰყვება თვითონაც თანა (ვაჟა).

მისი შვილები ფრიადა სწუხდნენ თავის ბატონ-პატრონის დაკარგვას (ვაჟა).

რად აწყინა ცივმა წყალმა პირველს მომკალს ძლიერა? (ი. გოგებ.).

ძალიანა ციოდა (ილია).

სხვა როგორა ბძანდებით, ჩემო რძალო! (ილია).

უკაცრავოდა ვარ, მოგვინება დავიფრთხეთ (ილია).

ეჟენები რაღადა აქვს? (ილია).

წუთის-სოფელი იმიტომა რქმევია, რომ ყველაფერი წუთობითა სცოდნია (ილია).

ცხენია, რომა... გეყოფა შენ საცხოვრებლად (ილია).

ყველას ეგრე უზმენ ხოლმე? — მაშა! (ილია)

და სხვა მრავალი.

აქვე შეიძლება დავასახელოთ ის შემთხვევებიც, როდესაც გარკვეულ კონტექსტში ცანაწილაკია ნახმარი თანამედროვე ქართულში დამკვიდრებული ც-ს ნაცვლად. თან ხშირად ეს ცანაწილაკი ახმოვნით გავრცობილ ფორმებსაც ერთვის.

მაგალითები:

გლეხიცა გზანის ურმებს ქირაზედ და თავად იშვილიცა (ილია).

სულ სხვა თვლით მიყურებდნენ ამ ხანაგებიცა და უფროსებიც (აკაკი).

თავს ვეველებოდიტ მეცა და შენც (მის. მრევლ.).

ნელ-ნელა ირხეოდა თითებიცა, ერთისაცა, მეორისაცა, შაბათ-კვირა თუ იქნებოდა, მესამისაცა (ო. ჩხ.).

მერე ისევ შემოეხვეოდნენ ისინიცა, სხვა უბნელებიცა, დავილოცოთო (ო. ჩხ.).

და სხვა.

9. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხშირად სხვათა სიტყვის ოხმოვანი სიტყვის ახმოვნით გავრცობილ ფორმას ერთვის და გარკვეულ სიტუაციაში ეს სრულიად ბუნებრივია.

მაგალითები:

თითქოს შეაშინა რაღაცამაო (ილია).

საჯაროდ ყბაში სილა გაართყა დედაკაცსაო (აკაკი).

ბატონო, ვის უჯავრდები მაგრე ვუღიოთაო? (აკაკი).

ან მე და ან თქვეენაო (ვაჟა).

რა მამივიდა ესაო (ვაჟა).

ველარავისა ცენობ, ველარავისაო (ო. ჩხ.).

„რაღაო?“ — ჰკითხა ყბედმა, „იმითომაო“ — უპასუხა ბრძენმა (ი. გოგებ.).

ბანი მისცა მრუდსაბძელამა, მყინვარმაცაო, იალბუზმაცაო, დაატანენ ხოლმე (ო. ჩხ.)

და ა. შ.

განხილული მაგალითები, როგორც ითქვა, ა ხმოვნის ხმარების შემთხვევათა იმ რიგს ეკუთვნის, როდესაც, მართალია, მისი გამოყენება აუცილებლობით არ არის გამოწვეული, მაგრამ მას მიანიც თავისი გარკვეული ადგილი აქვს სიტყვასთან წინადადებაში, გარკვეულ პირობებში იხმარება. რა პირობებია ეს?

მაგალითებზე დაკვირვება ცხადს ხდის, რომ მავრცობი ა სიტყვას, ძირითადად, ერთვის სამ შემთხვევაში; სახელდობრ, იგი გვხვდება:

1. პაუზასთან წინადადებაში,

2. და, თუ კავშირების წინ და

3. მოკლე (ერთმარცვლიანი) და ისეთი ზმნების წინ, რომელთაც თავში ხმოვნის შემცველი მორფოლოგიური ელემენტი, ანუ საწარმოებელი პრეფიქსი, არ ახლავს.

მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს, რადგან ზემოთ განხილული მაგალითებიც ამის ილუსტრაციას წარმოადგენს.

A. ა პაუზასთან წინადადებაში:

გადავემტერეთ ყველას... ავსა, კარგსა, შენა და სხვასა (ილია).

მიბძანე და აკი გაიხელ თელეთს სალოცავადა (ილია).

მთვარეს (sic) დაბნელება მოხდება ხოლმე მაშინა, როდესაც ჩვენში დღეა (ი. გოგებ.).

საჩეხში გამოვიდოდნენ კუნკულ-კუნკულითა, თავაზითა, პატივითა... საქსოვსაც თან გაიყოლებდნენ (ო. ჩხ.).

გადამტკავლავდა ბარის ტარსა, ბარის ტარით გადაზომავდა მიწასა, თავბოლოს პალოებს დაარჭობდა და ჩასთლიდა ისე სუფთადა, ისე მოხდენილად, ისე ლაზათითა, ჩაწოლა მოუნდებოდა ადამიანსა, ცოცხალ ადამიანსა (ო. ჩხ.).

აქედან ჩანს, რომ სახელთა ა-ხმოვანდართული ფორმები იმ შემთხვევაში იხმარება, თუ ასეთი სახელი წინადადების შემადგენელი გარკვეული ინტონაციური ერთეულების ბოლოსაა დასმული, როცა, ჩვეულებრივ, პაუზა გვაქვს, და ამთავრებს, აბოლოებს ასეთ ერთეულებს.

ვითარება ერთგვარად ანალოგიურია იმისა, რაც შეინიშნება პოსტპოზიციურად დასმული ნანათესაობითარი მსაზღვრელის შემთხვევაში⁹.

B. მავრცობი ა „და“, „თუ“ კავშირების წინ:

და მ ა და ძ მ ამ ცალ-ცალკე ბევრი იფიქრეს (ილია).

ს ი მ დ ე რ ე ბ ს ა და ცეკვაში მისი გული და სული იხატებოდა (აკაკი).

მ ი წ ი ს ა და ცის შორის არის ჩემი ოთახი (ნ. ლორთქ.).

აივსო ოჯახი დ ო ვ ლ ა თ ი თ ა და ქონებით (მის. მრევლ.).

თავის ოთახში წ ი ნ ა და უკან სიარული დაიწყო (ილია).

ის იყო ო ც ი ს ა თუ ოცდაერთის წლის ყმაწვილი ბიჭი (ილია).

C. ა ხმოვანი ზმნების წინ:

კუბრაანთ თ ე დ ო მ ა მცემა (ილია).

გული... ა მ ო ვ ა რ დ ნ ა ს ა ლამობდა (მის. მრევლ.).

გარე მხარე... ნაცრისფრის ვ ე რ ც ხ ლ ი ს ა იყო (ნ. ლორთქ.).

ტიღუნა ხ ე რ ხ ი თ ა მჯობდა (ვაჟა).

ჩ ე ე უ ლ ე ბ ა და ჰქონდათ (აკაკი).

დაღამებამდე იქ ა ვ რ ჩ ე ბ ო დ ი (აკაკი).

წუთის-სოფელი ი მ ი ტ ო მ ა ჰრქმევია, რომ ყველაფერი წ უ თ ო ბ ი თ ა ს ც ო დ ნ ი ა (ილია).

ხომ ეხლა ა რ ა ვ ი ნ ა ჰკითხულობს (ილია).

სხვას ყველაფერს თ ი თ ო ნ ა ჰყიდულობდა (ილია).

ქართველნი მამულიშვილნი ძ ლ ი ე რ ა სწუხდნენ (ი. გოგებ.)

და სხვა.

საკმარისია მავრცობი ა-ს მომდევნო ზმნებს რომელიმე პრევერბი ან რომელიმე პრეფიქსი დავურთოთ, რომ მის წინ სახელთან მდგომი ა ხმოვანი მაშინვე ზედმეტი აღმოჩნდება. სწორედ ამიტომ გვაქვს: კ ა რ გ ა და გ ა ლ ო ბ ს, ა ქ ა გ ა ლ ო ბ ს, გ ა რ ე თ ა გ ა ლ ო ბ ს, მ ა გ რ ა მ: გ ა რ ე თ გ ა რ ბ ი ს; გ ა უ თ ა ვ ე ბ ლ ა და დ ა ო ბ ს, მ ა გ რ ა მ: მ ო უ ს ვ ე ნ რ ა დ დ ა დ ი ს; ე ქ ი მ თ ა ნ ა წ ა მ ლ ო ბ ს, ვ ე ნ ა ხ ს ა წ ა მ ლ ა ვ ს, მ ა გ რ ა მ: პ ე ტ რ ე ს თ ა ნ წ ა ვ ა; ძ ლ ი ვ ს ა ჩ ა ნ ჩ ა ლ ე ბ ს, მ ა გ რ ა მ: ს ი ა ს ჩ ა მ ო წ ე რ ს და სხვა მრავალი.

ამ საკითხებთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოება იქცევის ყურადღებას: არ და ვერ უარყოფითი ნაწილაკები სრული არა (აღარა) და ვერა (ვეღარა) ფორმით სწორედ იმ შემთხვევაში გვხვდება, როცა

⁹ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 037.

მავრცობი ა ხმოვანია მოსალოდნელი, სხვაგან ყველგან არ და ვერ სახეობები გვაქვს:

მაგალითები:

ცარიელ სიტყვას მღვდელი არა სჯერდებოდა (ილია).

შვილი არა რჩებოდა (აკაკი).

საძრობა აღარა აქვს (აკაკი).

ტუჩებს ღიმილი მიეკრა ზედა და აღარა ჰშორდებოდა (ილია).

ვერა გრძნობდა, თუ რასა ლაპარაკობდა (ვაჟა).

შენ... კარგი დახსომება ვერა გცოდნია (ი. გოგება).

დედაჩემს ვეღარა ვხედავ (აკაკი).

ჰამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ (ილია)

და ა. შ.

თუ ბაუზასთან ა ხმოვნის გამოყენების დროს წინადადების გარკვეული მონაკვეთის დამთავრება ივარაუდებოდა, და, თუ კავშირებისა და სათანადო ზმნების წინ მავრცობ ა-ს უკვე წმინდა ფონეტიკური საფუძველი უნდა ჰქონდეს. ამ მხრივ სიმპტომატურია გ. დეეტერსის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს ა ისტორიულად ჩნდება რიტმულ-ფონეტიკური მიზეზებით და ამჟამადაც ეს მნიშვნელობა აქვს¹⁰.

ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივად დაისმის საკითხი: რას წარმოადგენს განხილული ა ხმოვანი ახალ ქართულში, რა ფუნქცია-დანინიშნულება აქვს მას?

აქ. შანიძე მას ნართულ ა-ს უწოდებს და ბრუნვის ნიშანს არ აკუთვნებს¹¹. მას, როგორც ვნახეთ, არც სხვა რამ მორფოლოგიურ დანიშნულება აქვს. როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს არნ. ჩიქობავა, „-ა-ს დართვა ამჟამად — მეტ წილ შემთხვევაში — უფრო სტილისტურ საჭიროებას უპასუხებს, ვინემ მორფოლოგიურ ნორმას წარმოადგენს“¹².

რადგან მავრცობი ა სტილისტიკური დანიშნულებისაა, ცხადია, მისი ხმარება ინდივიდუალურია და ყველა მწერლის ნაწერებში იგი ერთნაირად ვერ იქნება წარმოდგენილი; ზოგის ნაწერებში ა მეტად ხშირი და ჩვეულებრივია (ეს ითქმის განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერლებზე), ზოგი ავტორი კი მას ნაკლებად იყენებს. მისი ხმარების შემთხვევები განსაკუთრებით იშვიათია თანამედროვე სალიტერატურო ენაში, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე ავ-

¹⁰ გ. დეეტერსი, Armenisch und Südkaukasisch: „Caucasica“, fasc. 3, Leipzig, 1926, გვ. 53.

¹¹ აქ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 48.

¹² არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 037.

ატორი განგებ არ ხმარობს მას მოჭარბებულად სტილიზაციის მიზნით, როგორც, მაგალითად, ამას ადგილი აქვს ოთარ ჩხეიძის პროზაში¹³.

რით აიხსნება ა ხმოვნის შედარებით ნაკლებად გამოყენება თანამედროვე ქართულში?

მართალია, ა ხმოვანი სტილისტიკური დანიშნულებისაა და სხვადასხვა ავტორი ნებისმიერად განსხვავებულად იყენებს მას, მაგრამ ისიც ვნახეთ, რომ მისი ხმარება, თუ რაოდენობის მხრივ არა, ადგილის მიხედვით მაინც შეზღუდულია და გარკვეულ კანონზომიერებებთან არის დაკავშირებული. თუ ამ თვალსაზრისით დავაკვირდებით თანამედროვე ქართულის ვითარებას, ვნახავთ, რომ ა ხმოვნის ხმარების სამი შესაძლებლობიდან (პაუზასთან, გარკვეული ზმნებისა და და, თუ კავშირების წინ), დღევანდელ სალიტერატურო ენაში ყველაზე გავრცელებულია მესამე, ე. ი. და, თუ კავშირების წინ გამოყენება, ზოგჯერ აგრეთვე ზმნების წინ ხმარებაც, ხოლო რაც შეეხება პაუზას, პაუზასთან მავრცობი ა, ჩვეულებრივ, თითქმის აღარ გვხვდება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ წინათ ა ხმოვანს მწერლები ყველაზე ხშირად სწორედ პაუზასთან ხმარობდნენ, ცხადი გახდება, თუ რატომ იკლო ასე ა ხმოვნის ხმარების შემთხვევებმა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში.

ბუნებრივად დგება საკითხი: რამ გააქრო მავრცობი ა პაუზასთან?

სავარაუდოა, რომ ამის თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს წინადადებაში სიტყვათა რიგის შეცვლა; თანამედროვე სალიტერატურო ენაში როგორც წინადადების ბოლოს, ისე მისი ცალკე მონაკვეთების ბოლოსაც, ე. ი. პაუზასთანაც, თითქმის მეტ წილ შესაძლო შემთხვევებში ზმნა ექცევა, ის გვევლინება საერთოდ კონსტრუქციის ჩამკეტის, დამხშველის როლში; რაც შეეხება სახელს, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში პაუზა მასთან აღარ არის, რადგან იგი ადგილს გადაინაცვლებს და ამით ისპობა სახელისათვის მავრცობი ა-ს დართვის შესაძლებლობაც.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ი. გოგებაშვილის „დედაენისა“ და მისივე „ბუნების კარის“ შედარება ამ თვალსაზრისით. ი. გოგებაშვილი ერთისა და იმავე მოთხრობის ერთსა და იმავე წინადადებაში „დედაენაში“ ხმარობს ა-ხმოვიან სახელებს, „ბუნების კარში“ კი — არა. ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ წინადადებებში სიტყვათა რიგია სხვადასხვაგვარი.

¹³ ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ბოლოდროინდელი ნაწერები, კერძოდ კი მისი მოთხრობების კრებული „კახნიური“ (თბილისი, 1965).

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„დედაენაშია“: ამიტომ დიდის სიფრთხილით დაუწყეთ კრეფა მაყვალსა (გვ. 31);

„ბუნების კარში“: ამიტომ მაყვალს დიდი სიფრთხილით დაუწყეთ კრეფა (გვ. 21, 256).

„დედაენაშია“: ძალიან ემწარა ჩვენ სოსოსა (გვ. 31);

„ბუნების კარში“: ჩვენ სოსოს ძალიან ემწარა (გვ. 21).

ასევე:

დათიკო მოუთმენლად ელის მერცხლების მოსვლასა („დედაენა“, გვ. 39);

დათიკო მერცხლების მოსვლას მოუთმენლად ელის („ბუნების კარი“, გვ. 30).

ფეტვი ძრიელ უყვართ მწყრებსა („დედაენა“, გვ. 41);

ფეტვი მწყრებს ძლიერ უყვართ („ბუნების კარი“, გვ. 33).

გიორგი და გიგო დაღონებულნი მოვიდნენ შინა („დედაენა“, გვ. 42);

გიორგი და გიგო შინ დაღონებულნი მოვიდნენ („ბუნების კარი“, გვ. 34).

შეხედულებით მამალი გუგული და დედალი ძრიელ ჰგვანან ერთმანეთსა („დედაენა“, გვ. 44);

შეხედულებით მამალი გუგული და დედალი ერთმანეთს ძრიელა ჰგვანან („ბუნების კარი“, გვ. 35).

თუ მამალი ბულბული ცუდათ ვალობს და არ მოეწონა დედა ბულბულებსა — მთელ ზაფხულში დარჩება უდედლოთ („დედაენა“, გვ. 45—46);

თუ მამალი ბულბული ცუდათ ვალობს და დედა ბულბულებს არ მოეწონა, მთელ ზაფხულში უდედლოთ... დარჩება („ბუნების კარი“, გვ. 37).

ამ ძაღლებს... ბერები შეაბამენ ხოლმე ყელზედ ბოთლით ღვინოს ან არაყსა, კალათით ჰურსა და გაგზავნიან მთებზედ („დედაენა“, გვ. 51—52);

ამ ძაღლებს... ბერები ყელზედ ბოთლით ღვინოს ან არაყს შეაბამენ ხოლმე, კალათით ჰურს ჩამოჰკიდებენ და მთებზედ გაგზავნიან („ბუნების კარი“, გვ. 59).

მერე გამოუძღვება წინა („დედაენა“, გვ. 52);

მერმე წინ გამოუძღვება („ბუნების კარი“, გვ. 59).

აქედგან ადის ორთქლი, ... წყლის ნამათ იქცევა და ცვივა ძირსა („დედაენა“, გვ. 65);

აქედგან ორთქლი ადის, ... მერმე წყლის ნამათ იქცევა და ძირს ცვივა („ბუნების კარი“, გვ. 120)

და სხვა მრავალი.

ი. გოგებაშვილს „ბუნების კარში“ სტილებრივი ცვლილებები შეუტანია, კერძოდ, წინადადებებში სიტყვათა წყობა შეუცვლია. „ბუნების კარის“ ენის შესახებ დიდი პედაგოგი თვითონვე აღნიშნავს, რომ იგი შეეცადა ამ წიგნის ენის გამარტივებას. ამის გამო, როგორც ის წერს, იმდროინდელი საზოგადოების გულისწყრომა დაუმსახურებია¹⁴.

დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ჩვეულებრივი და ბუნებრივი სწორედ ისეთი წინადადებებია, სადაც ზმნა წინადადებისათვის მისი გარკვეული, ინტონაციურად გამოკვეთილი, ნაწილის დამა-

¹⁴ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. VI, 1958, გვ. 8.

ბოლოებელი და არა ა-ხმოვნიათ სახელით: ამის გამო, რომ იმ შემთხვევებშიც, როცა სახელი ბუნებრივად ექცევა: პაუზასთან, თუ მას მავრცობი ა დაერთო, ეს ამძიმებს და დიალექტურ ელფერს აძლევს ენას.

სამაგიეროდ, ამას ვერ ვიტყვით და, თუ კავშირებისა და ზმნების გარკვეული ფორმების წინ ხმარებულ ა ხმოვანზე. ასეთ შემთხვევებში ის ბუნებრივია თანამედროვე ქართული: სალიტერატურო ენისათვის.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი:

1. თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში მავრცობი ა-ს ხმარება სავსებით ბუნებრივია და მართებული და, თუ კავშირების წინ, როცა ეს კავშირები აერთებს ორ სახელს.

2. ბუნებრივია თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის სახელთა ა-ხმოვნიათ ფორმების გამოყენება: აგრეთვე ერთმარცვლიანი ზმნების წინ და ამას გარდა ისეთი ზმნების წინაც, რომელთაც თავში ხმოვნის შემცველი მორფოლოგიური ელემენტი (პრეფერბი, საწარმოებელი პრეფიქსი...) არ მოეპოვებათ.

3. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არ არის ბუნებრივი სახელთა ა-ხმოვნიათ ფორმების ხმარება წინადადების ბოლოს ან წინადადების გარკვეული ინტონაციურად გამოყოფილი ნაწილების დამთავრებლად, ე. ი. იქ, სადაც პაუზაა მოსალოდნელი; ასეთი ფორმები სალიტერატურო ქართული ენისათვის მის აწ განვლილ საფეხურებზე (XIX ს. II ნახევარში) იყო დამახასიათებელი.